



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

საინფორმაციო ფურცელი № D2d: ვიზა გერმანიაში სამუშაო ადგილის მოსაძებნად გამგზავრებისთვის

ნოემბერი 2019

ზოგადი ინფორმაცია

ამ ტიპის ვიზის მეშვეობით აკადემიურ პერსონალს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან აქვს საშუალება, ექვს თვემდე ვადით ჩავიდეს გერმანიაში სამუშაო ადგილის მოსაძებნად და ადგილზე იპოვოს თავისი კვალიფიკაციის შესაბამისი სამსახური.

ვიზის გასაცემად აუცილებელია, რომ თქვენ წარმოადგინოთ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთი და ასევე დაადასტუროთ, რომ თავად შეძლებთ გერმანიაში ცხოვრების ხარჯების დაფარვას. თუ გერმანიაში ექვსი თვის განმავლობაში მოიძიეთ დამსაქმებელი, მაშინ არ მოგიწევთ უკან დაბრუნება და შეგიძლიათ გერმანიაშივე გააკეთოთ განაცხადი სამუშაო ვიზის ან ევროკავშირის ლურჯი ბარათის მიღებაზე.

სამუშაო ადგილის მოსაძებნად გერმანიაში ყოფნის პერიოდში მუშაობა არ არის ნებადართული.

ზოგადი ინფორმაცია აკადემიური პერსონალის მიგრაციასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.make-it-in-germany.com.

ყველა საბუთი უნდა შემოიტანოთ **ორიგინალში** ორ ასლთან ერთად. უცხოენოვან საბუთებს თან უნდა დაურთოთ გერმანული თარგმანი. უცხოური პიროვნების და ოჯახური მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთები აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იყოს ლეგალიზებული ან დამოწმებული აპოსტილით. ქართულ პიროვნების და ოჯახური მდგომარეობის დამადასტურებელ საბუთებს უნდა ჰქონდეს აპოსტილი.

ვიზის მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

- სრულყოფილად შევსებული და პირადად ხელმოწერილი ორი [საგანაცხადო ანკეტა](#);
- პირადად ხელმოწერილი განცხადება უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-8 ქვეპუნქტის შესაბამისად ამავე კანონის 53-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის ნახვაც შესაძლებელია გერმანიის საელჩოს ვებ-გვერდზე);
- სამოგზაურო პასპორტი და მისი სურათიანი გვერდის ორი ასლი;
- მათთვის, ვინც არ არის საქართველოს მოქალაქე: საქართველოში ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთი;
- ორი ბიომეტრიული ფოტოსურათი (ცალკე დაურთეთ განაცხადს);
- გერმანიაში ყოფნის პერიოდში ცხოვრების ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი საბუთი. ყოველთვიური თანხა უნდა შეადგენდეს 853 ევროს სამედიცინო დაზღვევის ხარჯების გამოკლებით. მაგალითად:

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულტაციო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

- ოფიციალური უწყების მიერ გერმანიის უცხოელთა შესახებ კანონის 66-68 მუხლების შესაბამისად გაცემული განცხადება ვალდებულების თავის თავზე აღების შესახებ (Verpflichtungserklärung), რომელიც არ უნდა იყო ექვს თვეზე ადრე გაცემული, შეიცავდეს გერმანიაში ყოფნის მიზანს „სამუშაო ადგილის მოძიება“ და ინფორმაციას დადასტურებული გადახდისუნარიანობის შესახებ.
- საქართველოს ან გერმანიის საბანკო ანგარიშზე შესაბამის თანხის ქონის დამადასტურებელი საბუთი.
თუ საბანკო ანგარიში ეკუთვნის მშობელს (ან მშობლებს), მაშინ ნათესაური კავშირის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოთ დაბადების მოწმობის ასლი თარგმანთან ერთად. ამ შემთხვევაში დამატებით უნდა წარმოადგინოთ
 - მშობლის (ან მშობლების) ნოტარიალურად დამოწმებული განცხადება ვალდებულების თავის თავზე აღების შესახებ,
 - ხელფასის ცნობა და
 - მშობლის (ან მშობლების) სამოგზაურო პასპორტის მონაცემების შემცველი გვერდის ორი ასლი.
- ბლოკირებული ანგარიში გერმანიის ერთ-ერთ ბანკში. ამ შემთხვევაში ბანკის ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ზემოთ აღნიშნული თანხის ოდენობა (პლუს საბანკო მომსახურების თანხა), რაც ექვს თვეში შეადგენს 5.118 ევროს. ამ თანხიდან თვეში მხოლოდ 853 ევროს გამოტანის უფლება გექნებათ. გერმანიის ბანკში ანგარიშის გახსნა შესაძლებელი საქართველოდანაც. გთხოვთ წინასწარ მოითხოვოთ ინფორმაცია, შემდგომში ანგარიშზე ბლოკირების გაუქმებასთან დაკავშირებით.
- უმაღლესი განათლების დიპლომი საგნების ჩამონათვალით
 - სამუშაო ვიზის მიღებამდე თქვენი უცხოური უმაღლესი განათლების დიპლომი როგორც წესი აღიარებული უნდა იქნეს ან უნდა შეესაბამებოდეს გერმანიის უმაღლესი განათლების დიპლომს (გამონაკლისი ეხება ასევე პერსონალის გაცვლას, თანამშრომლის წარგზავნას, ჟურნალისტებს, დასაქმების დებულების მე-4 მუხლში გათვალისწინებულ სპეციალისტებს, გადამზადების მიზნით მომუშავე დასაქმებულებს). აღნიშნულის გადამოწმება შეგიძლიათ [ANABIN](http://www.anabin.net)-ის მონაცემთა ბაზაში. გთხოვთ, განაცხადს დაურთოთ ამონაწერი [ANABIN](http://www.anabin.net)-ის მონაცემთა ბანკიდან.
 - თუ თქვენი სპეციალობა/უმაღლესი სასწავლებელი არ არის მონაცემთა ბაზაში ან არ არის შეფასებული სტატუსით „entsprechend“/“vergleichbar“, მაშინ როგორც წესი ჯერ უცხოეთის საგანმანათლებლო საკითხების ცენტრალურმა უწყებამ (ZAB) უნდა შეაფასოს დიპლომი. აღიარება საჭიროა ასევე იმ დიპლომების, რომლებიც აღნიშნულია სტატუსით „bedingt vergleichbar“.
- „რეგლამენტირებულ პროფესიაში“ დასაქმებისას (იხ. www.berufe.net): პროფესიის ნებართვა ან თანხმობა პროფესიის ნებართვის გაცემაზე.
- არსებობის შემთხვევაში: უცხო ენების სწავლის დამადასტურებელი საბუთები, მაგ. სერტიფიკატები ან ენის კურსების გავლის ცნობები.
- გერმანიაში ყოფნის მთელი პერიოდისთვის საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთი, მაგალითად სასტუმროს ჯავშანი; ოჯახის წევრებთან/ნაცნობებთან ცხოვრების

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

შემთხვევაში საკმარისია ხელმოწერილი უბრალო მოწვევა მომწვევი პირის პასპორტის ასლთან ერთად.

- ❑ თქვენ მიერ შედგენილი, დამაჯერებელი სამოტივაციო წერილი გერმანულ ენაზე შემღებობისდაგვარად კონკრეტული მონაცემებით გერმანიაში ყოფნის დროისა და მიზნის, თქვენთვის საინტერესო სამუშაო სფეროსა და პროფესიის და ასევე იმ კომპანიების შესახებ, სადაც აპირებთ განაცხადის შეტანას. გთხოვთ ასევე მოგვითხროთ უცხო ენების ფლობის შესახებ და იმ შემთხვევაში, თუ არ ფლობთ გერმანული ენას, დაგვისაბუთოთ, თუ რატომ არ არის მისი ცოდნა აუცილებელი.
- ❑ არსებობის შემთხვევაში: მოწვევა გერმანული კომპანიებიდან.
- ❑ წლების მიხედვით წარმოდგენილი სრული ბიოგრაფია (CV) გერმანულ ენაზე, სადაც ასევე მითითებული იქნება ფაქტობრივი მისამართი და საკონტაქტო მონაცემები.
- ❑ ექიმებისთვის: გერმანული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საბუთი გოეთეს ინსტიტუტის, ავსტრიის კულტურის ფორუმის, telc-GmbH-ის ერთ-ერთი პროვაიდერის ან TestDaF-ის ერთ-ერთი ინსტიტუტის მიერ გაცემული სეტიფიკატის სახით.
- ❑ შესაბამის შემთხვევაში: დამატებით დამხმარე საბუთები (მაგ. დამსაქმებლის ცნობა, სარეკომენდაციო წერილები). არსებობის შემთხვევაში სამუშაო ადგილის მოძიებისთვის თქვენი მზადების სხვა დამადასტურებელი საბუთები.
- ❑ ვიზის გაცემის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში პასპორტის გაცემამდე უნდა წარმოადგინოთ სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევის პოლისი, თუ მანამდე არ გაქვთ იგი წარმოდგენილი;

გთხოვთ, ყველა საჭირო საბუთი წარმოადგინოთ ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით სამ კომპლექტად და შესაბამისი საბუთის წინ არსებულ პატარა ოთხკუთხედში მოხაზვით დაადასტუროთ, რომ შეგიძლიათ იქ მითითებული საბუთის წარმოდგენა.

გთხოვთ, საბუთები შემდეგი თანმიმდევრობით დააწყოთ:

- პირველ და მეორე კომპლექტში: ანკეტა და განცხადება ყველა სხვა დოკუმენტების ასლებთან ერთად ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით;
- მესამე კომპლექტში: ყველა ორიგინალი საბუთი ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით.

მნიშვნელოვანი მითითებები:

- ❑ განაცხადის შემოტანისას ან განაცხადის განხილვისას შეიძლება მოვითხოვოთ დამატებითი საბუთები, რომლებიც აქ არ არის მითითებული.
- ❑ განაცხადის განხილვას როგორც წესი სჭირდება რამდენიმე სამუშაო დღე, რადგან განხილვის პროცედურაში არ არის გერმანიის შიდა უწყებების ჩართვის საჭიროება, მაგრამ ერთეულ შემთხვევებში ეს დრო შეიძლება გაიზარდოს.
- ❑ გთხოვთ, არ მოგვმართოთ საქმის მდგომარეობასთან დაკავშირებული შეკითხვებით ჩაბარებული სავიზო განაცხადის განხილვის პროცესში. მონაცემთა დაცვის სამართლებრივი

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

მიზეზების გამო ჩვენ ვერ გავცემთ ტელეფონით ინფორმაციას სავიზო განაცხადების განხილვის შესახებ.

- სავიზო განაცხადის შემოტანის საფასური შეადგენს 75 ევროს (18 წლამდე - 37,50 ევროს) და გადახდილ უნდა იქნეს განაცხადის შემოტანისას იმ დღეს არსებული აქტუალური კურსით ლარში. საფასურის გადახდა სხვა ვალუტაში ან სადებეტო/საკრედიტო ბარათებით შეუძლებელია.

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ საბუთები სრულყოფილი სახით წარმოადგინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, თქვენი სავიზო განაცხადი უარყოფილ იქნეს.

დასაქმებასთან დაკავშირებით სასარგებლო ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდებზე:

- [Make it in Germany](#): სპეციალისტთა ინგლისურენოვანი პორტალი, სადაც მოცემულია რჩევები სამსახურის მოძიებასთან, პრფესიებთან და სხვა შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით. აქ ასევე იხილავთ მოკლე საინფორმაციო ფილმს „24h in Deutschland“ (24 საათი გერმანიაში).
- [Migration-Check](#): გერმანიის შრომის ფედერალური სააგენტოს საიტზე მოცემული მოკლე საორიენტაციო ინფორმაცია, შესაძლებელია თუ არა გერმანიაში საერთოდ მუშაობის უფლების მიღება.

ჩვენ რეგულარულად ვანახლებთ ამ საინფორმაციო ფურცელს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ მასში მოცემული ინფორმაცია არ იყოს სრულყოფილი. ერთეულ შემთხვევებში შეიძლება დაგჭირდეთ დამატებითი საბუთების ჩაბარება.

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.